

ბიზნესის სკოლის საგნების ანოგაციები

ბიზნესის ზოგადი განათლება
მათემატიკა I (კალკულუსი) მაკროეკონომიკა მიკროეკონომიკა სამართალი და ეკონომიკა სამართლის საფუძვლები სოციალური ფსიქოლოგია სოციოლოგია

ბიზნესის საბაზო განათლება
ბიზნესის ინგლისური ბიზნესის საწყისები ბიზნესის სტატისტიკა ლიდერობა და მოტივირება მოლაპარაკებები და კონფლიქტები ფინანსური აღრიცხვა 1 ფინანსური აღრიცხვა 2 EXCEL-ი ბიზნესისათვის

ბიზნესის ძირითადი განათლება	
ბიზნესი მოქმედებაში I ბიზნესი მოქმედებაში II ბიზნესი მოქმედებაში III ბიზნესის სამართალი გადაწყვეტილების მიღების მეთოდები დაბეგვრის საფუძვლები წარმოების და ოპერაციების მართვა მარკეტინგის მენეჯმენტი I მარკეტინგის მენეჯმენტი II ორგანიზაციული ქცევა ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები	მენეჯერული აღრიცხვა მენეჯმენტის საფუძვლები I პროექტების მართვა ფინანსური ანალიზი კორპორაციის ფინანსები გაყიდვები და გაყიდვების მენეჯმენტი მართვის ინფორმაციული სისტემები ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები

ბიზნესის კონცენტრაცია: წარმოების მენეჯმენტი
მრეწველობა და ეკონომიკის სტრუქტურა წარმოების მართვა მიწოდების ჯაჭვის მართვა ხარისხის მართვა ახალი პროდუქტის განვითარება მენეჯერული აღრიცხვა 2

ბიზნესის კონცენტრაცია: მასპინძლობისა და გურიზმის მენეჯმენტი
მასპინძლობისა და გურიზმის ინდუსტრია ლონისძიებების და შეხვედრების მენეჯმენტი კვებისა და სასმელების მენეჯმენტი სასტუმროს ოპერაციების მენეჯმენტი ადამიანური რესურსის მენეჯმენტი მარკეტინგის მენეჯმენტი მასპინძლობის ინდუსტრიაში მენეჯერული აღრიცხვა 2

პრაქტიკული განათლება
საველე პრაქტიკა მუშაობა ორგანიზაციაში

კალკულუსი

პრერეკვიზიტი: არ აქვს

სასწავლო კურსი მოიცავს წრფივი ალგებრის, ანალიზური გეომეტრიის და მათემატიკური ანალიზის ძირითადი ცნებებს, განმარტებებს, დებულებებსა და მეთოდებს. მათ შორის მაგრიცის ცნება, მოქმედებები მაგრიცებზე, დეტერმინანტის გამოთვლა და მისი გამოყენება წრფივ ალგებრულ განტოლებათა სისტემის ამოხსნებში; წრფე სიბრტყესა და სივრცეში, ამოცანები წრფეებისა, სიბრტყეებისა და წრფეთა და სიბრტყეთა ურთიერთმდებარეობის შესახებ.

სიმრავლის ცნება, მოქმედებები სიმრავლეებზე, რიცხვითი მიმდევრობები, მიმდევრობის ზღვარი, ფუნქციის ზღვარი, თეორემები ზღვართა შესახებ, ფუნქციის ზღვრის გამოთვლა შესანიშნავი ზღვრებისა და ეკვივალენტური უსასრულოდ მცირე ფუნქციების გამოყენებით. დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის ელემენტები: ფუნქციის წარმოებული და მისი გამოყენება; განსაზღვრული და განუსაზღვრელი ინტეგრალების გამოთვლა და მათი გამოყენება.

მაკროეკონომიკა

პრერეკვიზიტი: ეკონომიკის საფუძვლები

კურსი შეისწავლის ამა თუ იმ ეკონომიკური ერთეულის (ქვეყნის, რეგიონის და ა.შ.) ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებას, ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადების გამოყენებით. განიხილება საკითხები, თუ როგორ უნდა განისაზღვროს ინფლაცია, უმუშევრობის დონე, ეკონომიკური ზრდის ტემპი და სხვა აგრეგირებული სიდიდეები. რაგომ არის საშუალო მოძებნა განსაკუთრების რთული ეკონომიკური კრიზისის დროს, რაგომ ჩამორჩება თვალშისაცემად ცალკეული ქვეყნების საშუალო შემოსავალი სხვა ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს, რა არის სახელმწიფო ბიუჯეტი და რა მიზნებით ხდება მისი წარმოქმნა, როგორია სახელწიფოს მხრიდან ეკონომიკურ საქმიანობაში ჩარევის შედეგები.

მიკროეკონომიკა

პრერეკვიზიტი: ეკონომიკის საფუძვლები

ამ კურსში განიხილება სხვადასხვა მაკროეკონომიკური ცვლადები და ძირითადი კავშირები მათ შორის, ასევე ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ფაქტორების ანალიზი, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები, მათი გავლენა ეკონომიკაზე და მათი ცოდნის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობები როგორც ფირმების მენეჯერებისათვის, ასევე სხვადასხვა სამთავრობო უწყებაში დასაქმებულთათვის.

სამართალი და ეკონომიკა

პრერეკვიზიტი: ეკონომიკის საფუძვლები

ამ კურსში განიხილება სამართლის ეკონომიკური ანალიზის პრინციპები. პირველ რიგში აქცენცია გაკეთებული მეთოდოლოგიურ საკითხებზე, რომლებიც იძლევიან საშუალებას გამოვავლინოთ და შევაფასოთ სხვა და სხვა კანონის მიღების ეკონომიკური შედეგები. ასევე კურსის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულია ეკონომიკური პრობლემებთან, რომლებიც თავის მხრივ არიან ახალი ნორმების და კანონების წყაროები, მაგალითად მონოპოლიზმი ან მონეტარული პოლიტიკა.

სამართლის საფუძვლები

პრერეკვიზიტი: არ აქვს

სამართლის საფუძვლების კურსი განიხილავს საკითხებს სამართლის წარმოშობის და მისი არსის თაობაზე სამართლის შესახებ ძირითადი მოძღვრებებს, სამართლის ისტორიის, ძირითადი სამართლებრივი სისტემების, სამართლის ზოგადი პრინციპების, სამართლის ძირითადი ინსტიტუტების, სამართლის ენისა, სამართლის წყაროების და ცალკეული სამართლის დარგების შესახებ. კურსი შექმნილია სტუდენტებისათვის, რომლებსაც აინტერესებთ სამართლის წარმოშობის, მისი განვითარების და მისი თანამედროვე არსის შესახებ საბაზისო ცოდნის შექმნა.

სოციალური ფსიქოლოგია

პრერეკვიზიტი: ფსიქოლოგია

სოციალური ფსიქოლოგია არის მეცნიერება იმის შესახებ, თუ რას ფიქრობენ ადამიანები ერთმანეთის შესახებ, რა დამოკიდებულებებში არიან, როგორ ზემოქმედებენ ერთმანეთზე და როგორ გამოიხატება ეს ყველაფერი ქცევაში. რა კანონზომიერებები განსაზღვრავს ადამიანებს შორის სიმპათია-ანტიპათიას, რაგომ ვიქცევით ზოგჯერ ჩვენი შეხედულებების საწინააღმდეგოდ, რაგომ ვეხმარებით და რაგომ არ ვეხმარებით სხვებს, რა „როლებს“ ვთამაშობთ ყოველდღიურ ცხოვრებაში, როგორ ვიცავთ თავმოყვარობას, რაგომ მივმართავთ აგრესიას, როგორ ვაფასებთ საკუთარ თავსა და სხვებს, როგორ ყალიბდება შეხედულებები და როგორ იცვლება – ყოველივე ამას და კიდევ მრავალ სხვას მოიცავს სოციალური ფსიქოლოგიის კურსი.

სოციოლოგია

პრერეკვიზიტი: არ აქვს

კურსი სოციოლოგია განიხილავს სოციოლოგიურ თეორიას და კვლევას, როგორც სოციუმის შემეცნების გზას. კურსი აგებულია ძირითადი სოციოლოგიური პარადიგმების ემპირიული რეალობის მიმართ აპლიკაციის პრინციპზე. ამ მიზნით, ყურადღება გამახვილებულია საშუალო რანგის თეორიების ფარგლებში არსებულ კვლევებზე, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს გაიგოს პარადიგმის ემპირიზაციის პროცესი. გარდა ამისა, კურსი ხაზს უსვამს სოციალური მოვლენების მულტიფაქტორული ახსნის უპირატესობას და შესაბამისად, უჩვენებს ერთფაქტორული თეორიების შეზღუდულობას.

კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან საზოგადოებაში მოქმედ იმ ბაზისურ მექანიზმებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის სოციალური წესრიგის არსებობას.

ბიზნესის საბაზო განათლება

ბიზნესის ინგლისური

პრერეკვიზიტი: ინგლისური ენა B2

კურსის მიზანია სტუდენტს შეუქმნას საფუძველი, რათა მან მომავალში შეისწავლოს ბიზნესი (ან მონათესავე სპეციალობა) ინგლისურად და აგრეთვე მისცეს შესაძლებლობა აწარმოოს ბიზნესი ამ ენაზე. კურსი გულისხმობს შემდეგი ენობრივი მიმართულებების განმტკიცებას: კითხვა, ლექსიკა, გრამატიკა, საკომუნიკაციო უნარები, უცხო კულტურის ცოდნა.

ბიზნესის საწყისები

პრერეკვიზიტი: არ აქვს

საგანი ბიზნესის საწყისები წარმოადგენს შესავალს თანამედროვე ბიზნესის კონცეფციებში, მეთოდებში, სტრუქტურებსა და საქმიანობაში. ჩვენი მიზანია სტუდენტებს გავაცნოთ ბიზნესის ენა, ცნებები და გარემო. საგანი წარმოადგენს ერთგვარ გზამკვლევს თანამედროვე ბიზნესში.

ბიზნესის სტაგისტიკა

პრერეკვიზიტი: კალკულუსი

კურსი საინტერესო და მისაწვდომი ფორმით მიმოიხილავს სტაგისტიკის, მონაცემთა ანალიზისა და მოდელირების ბიზნესში გამოყენების შესაძლებლობებს. კურსის მიზანია სტუდენტებისათვის გამოყენებითი სტაგისტიკის, მონაცემთა დამუშავებისა და მათემატიკური მოდელირების ძირითადი (ბიზნესში ხშირად გამოყენებადი) ინსტრუმენტების გაცნობა სხვადასხვა პრაქტიკული ილუსტრაციების მეშვეობით. ალბათობის თეორია მიეწოდება იმ მოცულობით, რაც აუცილებელია სტაგისტიკური დასკვნების თეორიის ძირითადი იდეების აღსაქმელად.

ლიდერობა და მოტივირება

პრერეკვიზიტი: არ აქვს

კურსი ემსახურება ზოგადი მენეჯერული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. გრეინინგი ანვითარებს გუნდური მუშაობისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს: დამარწმუნებელი კომუნიკაციის უნარს; პერსონალის მოტივირების, მიზნისკენ მიმართვის, ეფექტური მართვის უნარ-ჩვევებს, ორგანიზაციული კონფლიქტების მოგვარების მეთოდებს; ლიდერობის უნარებს.

მოლაპარაკებები და კონფლიქტები

პრერეკვიზიტი: არ აქვს

ლიდერობა და მოტივირება კურსი ემსახურება ზოგადი მენეჯერული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. გრეინინგი ანვითარებს გუნდური მუშაობისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს:

- დამარწმუნებელი კომუნიკაციის უნარს;
- პერსონალის მოტივირების, მიზნისკენ მიმართვის, ეფექტური მართვის უნარ-ჩვევებს, ორგანიზაციული კონფლიქტების მოგვარების მეთოდებს;
- ლიდერობის უნარებს.

ფინანსური აღრიცხვა 1

პრერეკვიზიტი: არ აქვს

კურსის განმავლობაში შეისწავლება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს - IFRS) საფუძვლები.

ფინანსური აღრიცხვა 2

პრერეკვიზიტი: ფინანსური აღრიცხვა 1

სტუდენტები შეისწავლიან ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა საჭიროებების განსაზღვრას; საბალანსო ანგარიშგების ძირითადი კომპონენტების აღრიცხვის პრობლემებს და მათი გადაწყვეტის გზებს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს - IFRS) საფუძველზე; ფინანსური აღრიცხვის ძირითადი პრინციპებს, კონცეფციებსა და ტექნიკებს.

Excel- ბიზნესისთვის

პრერეკვიზიტი: არ აქვს

კურსი “Excel–ბიზნესისათვის” წარმოადგენს რეალურ ეკონომიკურ სიტუაციებში მათემატიკური მოდელების შედგენისას ელექტრონული ცხრილების შექმნისა და EXCEL-ის ფუნქციების გამოყენების შემსწავლელ კურსს.

ბიზნესი მოქმედებაში I

პრერეკვიზიტი: ბიზნესის საწყისები

კურსი ბიზნესი მოქმედებაში წარმოადგენს სტუდენტების მიერ ბიზნესის პრაქტიკაში განხორციელების მცდელობას. ჩვენი მიზანია სტუდენტები გაეცნონ რეალური ბიზნესის გარემოს. კურსი წარმოადგენს ერთგვარ გზამკვლევს, მისი მეშვეობით სტუდენტები შეძლებენ რეალური პირველი ნაბიჯების გადადგმას ბიზნესში, შეიძენენ გამოცდილებას (უნარ-ჩვევებს) მარკეტინგში, ფინანსებსა და მართვაში.

მსმენელი გაეცნობა ფინანსების ენას, რომლის ცოდნაც აუცილებელია ბიზნესის სამყაროში და მის გარშემო არსებული პრიორიტეტებისა და პრობლემების დადგენისათვის.

ბიზნესი მოქმედებაში II

პრერეკვიზიტი: ბიზნესი მოქმედებაში I

ბიზნესი მოქმედებაში წარმოადგენს ინტენსიურ კურსს მეწარმეობაში, რომელიც ორიენტირებულია ბიზნესის ადმინისტრირების სტუდენტებისთვის თეორიული და უფრო მეტად პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სტუდენტები გაიღრმავებენ ცოდნას კომპანიის ფუნქციონირებისთვის საჭირო ფინანსური მაჩვენებლების და ლოკუმენტების შექმნაში, ასევე სტუდენტს მიეცემა შესაძლებლობა შეხვდნენ რეალური კომპანიის დამფუძნებლებს და მმართველებს, განიხილონ მათი კომპანიის ქეისი, დასვან კრიტიკული კითხვები და იმსჯელონ მიმდინარე გამოწვევებზე. კურსის ფარგლებში სტუდენტი განიხილავს სხვადასხვა ქეისებს, სადაც წარადგენს და ჩამოაყალიბებს თავის მოსაზრებას ქეისში დასმულ პრობლემაზე. ამით ისინი დაუახლოვდებიან იმ პროცესების მიმდინარეობას, რაც წარმატებული კომპანიის შექმნისთვის არის საჭირო და აუცილებელი.

ბიზნესი მოქმედებაში III

პრერეკვიზიტი: ბიზნესი მოქმედებაში II

ბიზნესი მოქმედებაში წარმოადგენს ინტენსიურ კურსს მეწარმეობაში, რომელიც ორიენტირებულია ბიზნესის ადმინისტრირების სტუდენტებისთვის თეორიული და უფრო მეტად პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სტუდენტები შეძლებენ კონკრეტული ბიზნესები აღიქვან, როგორც ერთი მთლიანობა და არა როგორც ცალკეული ფუნქციური არეალი. კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან იმ მრავალ პრობლემას, გამოწვევას თუ შანსს, რასაც ბიზნესი ყოველდღე ხვდება და შეიძენენ უნარებს, მათ გადასაჭრელად თუ გამოსაყენებლად, განიხილავენ სხვადასხვა ქეისს, წარადგენენ და ჩამოაყალიბებენ მოსაზრებებს ქეისში დასმულ პრობლემაზე. ამით ისინი შეიძენენ იმ უნარებს, რაც წარმატებული კომპანიის შექმნისთვის არის საჭირო და აუცილებელი.

ბიზნესის სამართალი

პრერეკვიზიტი: სამართლის საფუძვლები

კურსში განიხილება კერძო და საჯარო სამართლის ცალკეული დარგების ის ძირითადი პრინციპები და ნორმები, რომელთა ცოდნა აუცილებელია ბიზნესის სამართლის სფეროში. კურსი ორიენტირებულია იურიდიული პრაქტიკის ისეთი ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარებაზე, რომელიც გაუადვილებს სტუდენტს შემდგომში საქართველოში და/ან საერთაშორისო გარემოში მუშაობას.

გადაწყვეტილების მიღების მეთოდები

პრერეკვიზიტი: ბიზნესის სტატისტიკა და აზროვნების მათემატიკური წესი

თანამედროვე ბიზნეს–გარემოში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწორი გადაწყვეტილებების მიღებას. ამასთან, გადაწყვეტილება უნდა იყოს სწრაფი. ტექნიკური პროგრესი საშუალებას იძლევა ბიზნესში გადაწყვეტილებების მიღების მხარდაჭერისთვის ჩატარდეს მონაცემთა ანალიზი და მოხდეს მოდელირება კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით. კურსი მოიცავს ბიზნესში წარმოშობილი მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტილებისათვის საჭირო კლასიკურ და თანამედროვე რაოდენობრივ მეთოდებსა და ტექნიკებს. ყურადღება ექცევა კომპიუტერის გამოყენებასა და პრაქტიკულ პრობლემებს.

დაბეგვრის საფუძვლები

პრერეკვიზიტი: არ აქვს

კურსის შესწავლის შედეგად სტუდენტი გაერკვევა გადასახადების წარმოშობის ეკონომიკურ და სამართლებრივ საფუძვლებში, ძირითად პრინციპებში, რომლის საფუძველზეც ყალიბდება საგადასახადო სისტემები, საქართველოში მოქმედ დაბეგვრის რეჟიმებში.

მარკეტინგის მენეჯმენტი I

პრერეკვიზიტი: არ აქვს

კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან მარკეტინგის ზოგად თეორიას და კონცეფციებს. განვიხილავთ მომხმარებლის გადაწყვეტილების მიღების პროცესს, მარკეტინგული გარემოს არსს, გლობალური მარკეტინგის არსს.

მარკეტინგის მენეჯმენტი II

პრერეკვიზიტი: მარკეტინგის მენეჯმენტი 1

მარკეტინგის მენეჯმენტი არის მიზნობრივი ბაზრების შერჩევის, მოზიდვის, შენარჩუნების და გაფართოების ხელოვნება და მეცნიერება. იგი ითვალისწინებს კლიენტისათვის უმაღლესი ფასეულობის შექმნას, მიწოდებასა და კომუნიკაციას. სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებმა შეისწავლონ მიზნობრივ აუდიტორიასთან კომუნიკაციის დამყარება რეკლამის, პირადი გაყიდვების, პირდაპირი მარკეტინგის, გაყიდვის, სტიმულირების საშუალებით.

ორგანიზაციული ქცევა

პრერეკვიზიტი: მენეჯმენტის საფუძვლები

ორგანიზაციული ქცევა – ესაა კურსი ინდივიდების და ჯგუფების ქცევის შესახებ ორგანიზაციულ გარემოცვაში. ემპირიული კვლევა უჩვენებს, რომ ინდივიდები იქცევიან განსხვავებულად, როდესაც ისინი მოქმედებენ, როგორც ჯგუფის ან ორგანიზაციის წევრები. კურსის მოსმენისას სტუდენტები შეძლებენ იმ თეორიების გამოყენებას ორგანიზაციული ქცევის ასახსნელად, რომლებიც უკვე შესწავლილი აქვთ სხვა ქცევით მეცნიერებებში (სოციალური ფსიქოლოგია, სოციოლოგია). გარდა ამისა, სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია უშუალოდ ორგანიზაციული ქცევის ჩარჩოში განხორციელებული ემპირიული კვლევების შესახებ, რომლებიც მიზნად ისახავს საშუალო რანგის თეორიების აპლიკაციას ორგანიზაციის პირობებში.

ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები

პრერეკვიზიტი: მარკეტინგის მენეჯმენტი I

„ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების“ კურსი მოიცავს ლექციებს, სემინარებს, პრაქტიკულებს, პრემენტაციებსა და „სტუმრის დღეებს“ მისი არსის, დანიშნულების, შემადგენელი ნაწილების შესახებ.

ახსნილი და შესწავლილი იქნება მარკეტინგული კომუნიკაციის პროცესის რაობა და მეთოდოლოგია. ინტეგრირებული მიდგომის და რეალობაში განხორციელების საჭიროება და მეთოდოლოგია.

IMC კორპორატიული იმიჯის, ასევე კორპორაციის მიერ წარმოებული ბრენდების მომხმარებლისათვის გაცნობას და მის „ფრომოუშენს“ ემსახურება. იგი მოიცავს კომუნიკაციის შესაძლებლობათა ანალიზს, სარეკლამო საქმიანობის მართვას, გაყიდვის სტიმულირებას, პირადად გაყიდვას, საზოგადოებასთან ურთიერთობას, პირდაპირ მარკეტინგს, მოვლენათა მარკეტინგს და რაც მთავარია ყველა ამ საშუალების ინტეგრირებულად, ერთობლიობაში, სისტემურად დაგეგმვასა და გამოყენებას.

მენეჯერული აღრიცხვა I

პრერეკვიზიტი: ფინანსური აღრიცხვა I

კურსის მიზანია შეისწავლოთ თუ როგორი და რა სახის ინფორმაცია უნდა მოგროვდეს კომპანიაში, რომელიც დაეხმარება მენეჯმენტს მართვაში და გადაწყვეტილებების მიღებაში, დაგეგმვასა და კონტროლში.

მენეჯმენტის საფუძვლები

პრერეკვიზიტი: არ აქვს

ეფექტური მენეჯმენტი თანამედროვე ბიზნეს-გარემოს ერთ ერთი უმთავრესი გამოწვევაა, რომელზეც დამოკიდებულია ორგანიზაციების წარმატება. კურსის განმავლობაში უმთავრესი პრობლემები და საკითხები განიხილება, მათ შორის:

- როგორ შეიძლება სხვა ადამიანების დახმარებით მივაღწიოთ ისეთ წარმატებას, რომელსაც მხოლოდ ერთი ადამიანის უნარს სცდება;
- როგორ შეგვიძლია თანამშრომლობის შენარჩუნება, რათა სწორი გადაწყვეტილებები მივიღოთ და განვახორციელოთ;
- როგორ შეგვიძლია განვაფიქროთ ორგანიზაცია, რომელიც კონკურენტუნარიანობას შეინარჩუნებს და მუდმივად შესძლებს თავისი კლიენტების მზარდი და ცვალებადი მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

პროექტის მართვა

პრერეკვიზიტი: არ აქვს

პროექტის მენეჯმენტი უკანასკნელ წლებში ერთი, რიგითი მიმზიდველი მიდგომიდან, რომლის გამოყენებაც შეეძლოთ ორგანიზაციებს, იქცა უმნიშვნელოვანეს ბიზნეს პროცესად, რომელიც აუცილებელია ორგანიზაციის წარმატებული საქმიანობისათვის. დრამატულად ცვალებადი გარემო და მძაფრი კონკურენცია აიძულებს ორგანიზაციებს სწრაფად მოერგონ ცვლილებებს და დახვეწონ მართვის სისტემები. პროექტის მენეჯმენტი სწორედ ამ მიზნების მიღწევაში ეხმარება მათ.

კურსი ეფუძნება ამ სფეროში ყველაზე ავტორიტეტული ორგანიზაციის, პროექტების მართვის ინსტიტუტის (Project Management Institute), მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას, მოიცავს დისციპლინაში შემავალ ყველა ძირითად სფეროს და მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის პროექტის მენეჯმენტის პრინციპების, მეთოდებისა და ტექნიკების შესწავლას.

წარმოების და ოპერაციების მართვა

პრერეკვიზიტი: მენეჯმენტის საფუძვლები

კურსის ფარგლებში განხილულია წარმოების და მომსახურების ოპერაციები, სხვადასხვა ტიპის პროცესების დაგეგმვა-გაუმჯობესება, ოპერაციების მენეჯმენტის მთავარი ამოცანები, წარუმატებლობის თავიდან აცილების სტრატეგიები და ამ ცოდნის გამოყენების საშუალებები ორგანიზაციული ეფექტურობის გასაუმჯობესებლად.

კორპორაციის ფინანსები

პრერეკვიზიტი: ფინანსური აღრიცხვა 1

კურსში განხილულია კომპანიის ფინანსების მართვის საკითხები, რომელიც გულისხმობს კომპანიის ფინანსური ანალიზის ჩატარებას, საინვესტიციო პროექტების შეფასებას და დაფინანსების გზების და ფორმების მოძიებას, საბრუნავი კაპიტალის მართვის საკითხებს. ასევე კურსში განხილულია კაპიტალის სტრუქტურის და სადივიდენდო პოლიტიკის საკითხები.

გაყიდვები და გაყიდვების მენეჯმენტი

პრერეკვიზიტი: მარკეტინგის მენეჯმენტი 1

კურსში განხილულია კომპანიის ფინანსების მართვის საკითხები, რომელიც გულისხმობს კომპანიის ფინანსური ანალიზის ჩატარებას, საინვესტიციო პროექტების შეფასებას და დაფინანსების გზების და ფორმების მოძიებას, საბრუნავი კაპიტალის მართვის საკითხებს. ასევე კურსში განხილულია კაპიტალის სტრუქტურის და სადივიდენდო პოლიტიკის საკითხები.

მართვის ინფორმაციული სისტემები

პრერეკვიზიტი: არ აქვს

ბიზნესის გლობალიზაციის გათვალისწინებით, თითოეული მომხმარებლის მოთხოვნებისა და კომპანიების საპროლუქტო პორტფელის დივერსიფიკაციის პირობებში, თანამედროვე ორგანიზაციისთვის ძალზე მნიშვნელოვანია საინფორმაციო სისტემების განვითარება. კურსი წარმოადგენს შესავალს მართვის საინფორმაციო სისტემების სფეროში. კურსი არაა განკუთვნილი საინფორმაციო მიმართულების ხელმძღვანელებისთვის, არამედ უმაღლესი და შუა რგოლის მომავალი (ან მიმდინარე) მენეჯერებისთვის, რომლებიც წარმოადგენენ საინფორმაციო მიმართულების დამკვეთებს.

ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები

პრერეკვიზიტი: კორპორაციის ფინანსები

ამ კურსში აღწერილია ფინანსური ბაზრების და ინსტიტუტების მუშაობის პრინციპები. ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები ასახავენ არა მხოლოდ ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურობას არამედ წარმოადგენს ფინანსური რესურსების მიწოდების საშუალებას მთელი ეკონომიკისთვის, რაც თავის მხრივ ზემოქმედებს ბიზნესის მომგებიანობაზე, საქონლის და მომსახურების წარმოებაზე, და ეკონომიკურ კეთილდღეობაზე.

ბიზნესის კონცენტრაცია: წარმოების მენეჯმენტი

მრეწველობა და ეკონომიკური სტრუქტურა

პრერეკვიზიტი: ეკონომიკის საფუძვლები

კურსის ფარგლებში განხილული იქნება მრეწველობის არსი; ეკონომიკის სტრუქტურა და მისი განვითარების ისტორია; ინდუსტრიული რევოლუციის შედეგები; ინდუსტრიის განვითარება მსოფლიოში და საქართველოში; თანამედროვე ტენდენციები მრეწველობაში; ასევე, ინდუსტრიული პროექტის ბაზარზე განთავსება ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ და მასთან დაკავშირებული რეგულაციები.

წარმოების მართვა

პრერეკვიზიტი: მენეჯერული აღრიცხვა I და წარმოების და ოპერაციების მართვა

კურსში განვიხილავთ წარმოების მენეჯმენტის ძირითად პრინციპებს. ასევე განხილული იქნება კონკრეტულ მეთოდები თუ როგორ უნდა დაგეგმოთ და ვაკონტროლოთ საწარმოო პროცესი, წარმოების ეფექტიანობის მიზნით.

მიწოდების ჯაჭვის მართვა

პრერეკვიზიტი: წარმოების და ოპერაციების მართვა

ეს კურსი არის მენეჯმენტის საფუძვლებისა და ოპერაციების მენეჯმენტის კურსის გაგრძელება. მიწოდების ჯაჭვის მართვის კურსი ეხება პროცესებისა და პერფორმანსის გაუმჯობესებების გზების ძიებას. განვიხილავთ მიწოდების ჯაჭვის ძირითად პარამეტრებს, გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო ინფორმაციას, ეფექტიანი და ეფექტური მიწოდების ჯაჭვის ინსტრუმენტებს და ა.შ.

ხარისხის მართვა

პრერეკვიზიტი: არ აქვს

ხარისხის მენეჯმენტი შეისწავლის ხარისხის მართვის სისტემებს და ინსტრუმენტებს. ხარისხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გასათვალისწინებელი ფაქტორია გლობალურ ბაზარზე ოპერირებისთვის. ხარისხის მართვის მეთოდოლოგიების ცოდნა, მათი მიზანმიმართული გამოყენების ჩვევები წარმოადგენს ხარისხის მენეჯერების მომზადების საფუძველს, ერთიანი ხარისხის მართვის საკითხებს მიეკუთვნება ხარისხის დაგეგმვა, ხარისხის სისტემის დიზაინის შემუშავება, ხარისხის აუდიტი და თვითშეფასება, ხარისხის გაუმჯობესების ტექნიკის და ინსტრუმენტების გამოყენება პრაქტიკაში. კურსის თეორიული მასალა აღაპირებულია თანამედროვე გარემოს ცვლილებებისადმი და მოიცავს კონკრეტულ ქეისებს სხვადასხვა ტიპის წარმოების, საქართველოს და საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი ხარისხის მართვის პრაქტიკიდან.

ახალი პროდუქტის განვითარება

პრერეკვიზიტი: არ აქვს

ახალი პროექტების განვითარება და ინოვაცია - ისე არასდროს, როგორც დღევანდელ დღეს, დიგიტალიზაცია ანუ სამყაროს ციფრულ საწყისებზე გადაწყობა ცვლის ადამიანის და მის საქმიანობას. ამ პროცესში იცვლება ბიზნესიც და წარმოშობს ახალ შესაძლებლობებს. ერთის მხრივ წარმოიშევა მეტი კომფორტი მომხმარებლისთვის, მეორეს მხრივ იქმნება სრულიად ახალი ბაზრები, სფეროები და შემოსავლის ახალი წყაროები. ახალი პროექტების განვითარება ისეთი სახით რომლითაც დღევანდელ დღეს ინოვაციური პროცესი და სტარტაპების წარმოშობა მიმდინარეობს, ერთი დასრულებული საგნის ან სახელმძღვანელოს სახით არ არსებობს. ჩვენი კურსიც ძირითადად სამ ძირითად მიდგომას და სფეროს ეფუძნება, რომელიც ყველაზე ფართოდ გამოიყენება პრაქტიკაში და ყველზე ხშირად გვთავაზობს გზას წარმატებული პროექტის შესაქმნელად.

მენეჯერული აღრიცხვა 2

პრერეკვიზიტი: მენეჯერული აღრიცხვა 1

მენეჯერული აღრიცხვა 2 განიხილავს ბიზნესის მდგომარეობისა და პერსპექტივების შეფასების მეთოდებს; ფასწარმოქმნის საკითხებს დანახარჯთა თვალსაზრისით; დანახარჯთა აღრიცხვის, გარკვეულ დანახარჯთა განაწილებისა და ბიზნესის სხვადასხვა რგოლებს შორის ურთიერთობის სპეციფიკურ საკითხებს.

ბიზნესის კონცენტრაცია: მასპინძლობისა და გურიზმის მენეჯმენტი

მასპინძლობისა და გურიზმის ინდუსტრია

პრერეკვიზიტი: არ აქვს

კურსის მიზანია სტუდენტები გაეცნონ გურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიის პრინციპებს. განხილული იქნება ეკონომიკური აგენტების სოციო-ეკონომიკური ქცევა და ბიზნესები, მათი როლი და გადაწყვეტილებები. მიმოვიხილავთ მოთხოვნის, მიწოდების, ელასტიურობის, ფასებისა და ინვესტიციების ძირითად ასპექტებს. განიხილება გურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიის ზეგავლენა ეკონომიკაზე.

ლონისძიებების და შეხვედრების მენეჯმენტი

პრერეკვიზიტი: არ აქვს

ლონისძიებებისა და შეხვედრების მენეჯმენტის კურსი არის პრაქტიკული კურსი სადაც სტუდენტები რეალურად გააკეთებენ ლონისძიებებისა და შეხვედრების ორგანიზებას.

კურსის მიზანია სტუდენტებმა შეძლონ თეორიულ და სხვა პრაქტიკულ სასწავლო კურსებში დაგროვილი ცოდნა გამოიყენონ პრაქტიკაში, მიიღონ გამოცდილება და პრობლემაზე დაფუძნებით ისწავლონ.

კვებისა და სასმელების მენეჯმენტი

პრერეკვიზიტი: არ აქვს

აღნიშნული კურსის შედეგად სტუდენტები შეისწავლიან რესტორანს როგორც ორგანიზაციას, მის ინფრასტრუქტურასა და ძირითად ოპერაციულ ნაწილს.

განხილული იქნება რესტორნის ყველა ოპერაციული საფეხური რესტორნის წარმატებული მენეჯმენტისათვის.

სასტუმროს ოპერაციების მენეჯმენტი

პრერეკვიზიტი: არ აქვს

აღნიშნული კურსის შედეგად სტუდენტები შეისწავლიან სასტუმროს როგორც ორგანიზაციას, მის ინფრასტრუქტურასა და ძირითად ოპერაციულ ნაწილს. კურსის განმავლობაში განხილული იქნება ყველა ზომისა და ტიპის სასტუმროს სპეციფიკა და განსაკუთრებული აქცენტები გაკეთდება საქართველოს რეალობაში არსებულ მაგალითებზე.

აღამიანური რესურსის მენეჯმენტი

პრერეკვიზიტი: არ აქვს

კურსის მიზანია სტუდენტებს გაეცნოთ პერსონალის მართვის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საკითხები; მათ შეძლონ: აღამიანური რესურსების, როგორც ორგანიზაციის ყველაზე ღირებული კაპიტალისა და მთავარი ფაქტორის შეფასება; აღამიანური რესურსების მართვის ძირითადი პრინციპების შემეცნება და მართვის მეთოდების საფუძვლიანად დაუფლება; აღამიანური კაპიტალის გადამწყვეტი მნიშვნელობის გაცნობიერება ორგანიზაციის მიზნების მიღწევისა და მისი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების საქმეში.

მარკეტინგის მენეჯმენტი მასპინძლობის ინდუსტრიაში

პრერეკვიზიტი: მარკეტინგის მენეჯმენტი 1

სასწავლო კურსის წარმატებით გაელის შემთხვევაში სტუდენტი სრულყოფილად შეძლებს ტურისტული ბაზრის ანალიზს, მარკეტინგული სტრატეგიებისა და ტაქტიკების შემუშავებას, ტურისტული ობიექტების პოზიციონირებას, შემოსავლების სწორ მენეჯმენტს, ფასწარმოქმნის ფორმირებას, ბრენდინგს, დისტრიბუციის სწორად დაგეგმვა განხორციელებას, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების განხორციელებას და სხვა.

მენეჯერული აღრიცხვა 2

პრერეკვიზიტი: მენეჯერული აღრიცხვა 1

მენეჯერული აღრიცხვა 2 განიხილავს ბიზნესის მდგომარეობისა და პერსპექტივების შეფასების მეთოდებს; ფასწარმოქმნის საკითხებს დანახარჯთა თვალსაზრისით; დანახარჯთა აღრიცხვის, გარკვეულ დანახარჯთა განაწილებისა და ბიზნესის სხვადასხვა რგოლებს შორის ურთიერთობის სპეციფიკურ საკითხებს.

პრაქტიკული განათლება

საველე პრაქტიკა

პრერეკვიზიტი: არ აქვს

საველე პრაქტიკა არის აგრარული უნივერსიტეტის სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი, რომელიც სტუდენტთათვის სავალდებულოა. პრაქტიკის გავლა მოიცავს სტუდენტთა ჯგუფების გამგზავრებას პრაქტიკის ადგილზე. პრაქტიკის დაწყებამდე, სტუდენტთა ჯგუფებს შორის ხდება ამოცანების გადანაწილება. შესაბამისად, პრაქტიკის მსვლელობისას, ამოცანებიდან გამომდინარე, მიმდინარეობს კონკრეტული აქტივობების განხორციელება. აქტივობები მიზნად ისახავს სამოგალოებისთვის მნიშვნელოვანი და შექცევითი მიზნების მიღწევას. საველე პრაქტიკას უძღვება ჯგუფის კოორდინატორი. პრაქტიკა შესაძლებელია იყოს ანაზღაურებადი.

მუშაობა ორგანიზაციაში

პრერეკვიზიტი: არ აქვს

მუშაობა ორგანიზაციაში არის პროგრამის სასწავლო გეგმის სავალდებულო ნაწილი და გრძელდება მთელი სემესტრის განმავლობაში; მუშაობა ორგანიზაციაში შეიძლება იყოს როგორც ანაზღაურებადი, ასევე ანაზღაურების გარეშე. ამ პრაქტიკის მეშვეობით სტუდენტი უკეთ ეცნობა ორგანიზაციის მუშაობის პრინციპებს. მას ეძლევა შესაძლებლობა: მოქმედ ორგანიზაციაში გამოიყენოს უნივერსიტეტში შეძენილი ცოდნა, ანალიტიკური და ტექნიკური უნარები; პრაქტიკა ხელს უწყობს სტუდენტს თეორიული ცოდნის გააქტიურებაში; უნივერსიტეტი და სტუდენტი ერთობლივად ბრუნავენ პრაქტიკის ადგილის მოძიებისთვის; სტუდენტი პრაქტიკის შესახებ წერს ნაშრომს, პრაქტიკის ანგარიშს.